რას ფიქრობენ ადგილობრივი პოლიტიკოსები ხელისუფლებაში განვითარებული პროცესების შესახებ?

მარი კოძოევი

მერაბ ჭანუყვაძე („ქართული ოცნება“):

– პირველ რიგში მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ გიორგი კვირიკაშვილს. მისი ხელმძღვანელობით ჩვენმა გუნდმა ქვეყანაში არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმა გაატარა.

რაც შეეხება განვითარებულ მოვლენებს, როგორც ცნობილია, საპარლამენტო და სამთავრობო გუნდის ერთობლივ შეხვედრაზე გარკვეული მიმართულებებით აზრთა სხვადასხვაობა გამოიკვეთა, რამაც გამოიწვია ცვლილებები. ის რეფორმები, რომელიც ქვეყანაში უნდა გატარდეს, საჭიროებს მეტ ეფექტურობას. აქედან გამომდინარე პრემიერ-მინისტრობის ახალი კანდიდატის შერჩევასთან დაკავშირებით გაიმართა კონსულტაციები და გაფართოებული შეხვედრა, რის შემდეგადაც „ქართულმა ოცნებამ“ ერთხმად პრემიერ - მინისტრის პოსტზე მამუკა ბახტაძის კანდიდატურა წარადგინა. დარწმუნებული ვარ მამუკა ბახტაძის ხელმძღვანელობით ჩვენი ხელისუფლება შეძლებს იმ გამოწვევებთან გამკლავებას, რომლის წინაშეც დგას დღეს ჩვენი ქვეყანა.

თორნიკე გოგუაძე („ნაციონალური მოძრაობა“):

–ბუნებრივია, ველოდებოდით და ვფიქრობდით რომ პრემიერს ეყოფოდა კეთილგონიერება და ჯერ კიდევ მაშინ გადადგებოდა, როდესაც მოზარდების მკვლელობის გამოძიებისას გამოიკვეთა, რომ მკვლელებს, ხელისუფლების მაღალჩინოსნები მფარველობდნენ. გადადგომა განაპირობა შვილმკვდარი მამების, დედების და საზოგადოების პროტესტმა. ამას დაემატა, მარნეულის მკვიდრის მიმართ, არაადამიანური მოპყრობის და ღირსების შემლახავი კადრი. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე პროტესტი იმდენად დიდი იყო, რომ საზოგადოების დასამშვიდებლად, ახალი ზვარაკის შეწირვა გადაწყვიტეს.

მიხეილ გოგოტიშვილი („ევროპული საქართველო“): – სრულიად ჩავარდნილი პრემიერ მინისტრი, რომელიც, თავიდანვე განწირული იყო წარუმატებლობისთვის, ივანიშვილის არაფორმალური მართველობის პირობებში, მაგრამ მისმა ჩავარდნებმა მოლოდინსაც კი გადააჭარბა. მთავარი, რეალური პრობლემა ივანიშვილი და მთლიანად მისი გუნდია. ინსტიტუტების დასუსტება, კორუფცია, კრიმინალის ზრდა, სარალიძის საქმე, სიღარიბის ზრდა. მთელი საზოგადოების ამოცანაა, შემდეგ არჩევნებზე, ივანიშვილი და მთელი მისი გუნდი გავისტუმროთ.

ზოთა გოგიბერიძე („პატრიოტთა ალიანსი“): – უმთავრესი პოლიტიკური პროცესი, რაც ამჟამად ქვეყანაში მიმდინარეობს, გახლავთ ახალი მთავრობის ჩამოყალიბების პროცესი. ახალ მთავარია მალე შეირჩეს პრემიერ მინისტრი, რომელიც ასევე მალე, წარუდგენს პარლამენტს ახალ მთავრობას, ახალ ხედვას. უმთავრესი, სწორედ ეს ახალი ხედვა გახლავთ, რადგანაც არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური პროცესი, მართლმსაჯულებისა და სამართლიან-

გვ-2

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 24 (10269) 18 ივნისი, 2018 წ. ფასი 60 თეთრი.

ფიზიკური დაპირისპირება საკრებულოში

ალიონი. გასულ პარასკევს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში ინციდენტი მოხდა. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ დაბა ნასაკირალის მაჟორიტარი დეპუტატი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ბესო ქათამაძე და ფრაქცია „ქართული ოცნების“ რამდენიმე დეპუტატი. მათი სიტყვიერი დაპირისპირება ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა და როგორც დაზარალებული ბესო ქათამაძე აცხადებს, მას ერთ-ერთმა დეპუტატმა თავში რაღაც ჩაარტყა, რის შედეგად ტრავმა მიიღო და გონი დაკარგა.

– ინციდენტი ჩემს პოლიტიკურ საქმიანობას და სოციალურ ქსელში ჩემს აქტივობას უკავშირდება. დამირეკეს და მითხრეს, რომ სალაპარაკო გვაქვსო. როცა შევედი დარბაზში დალაპარაკებაც ვერ მოვასწარი, თავს დამესხნენ, რამდენიმე დეპუტატი მირტყამდა. შემდეგ უკნიდან რაღაც ჩამარტყეს თავში და გონი დავკარგე. აზრზე რომ მოვედი, მარტო ვიყავი. ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გ. არაშიძე, დ. ჭაკნელიძე, გ. კილაძე და კიდევ რამდენიმე დეპუტატი მირტყამდა–უთხრა გაზეთ „ალიონს“ ბესო ქათამაძემ ოზურგეთის „მედალფას“ კლინიკაში გადაყვანამდე.

ჟურნალისტებმა დაზარალებული დეპუტატი საავადმყოფოშიც მოინახულეს.

–„პაციენტს სხვადასხვა ზომის 3 ჭრილობა ჰქონდა თავზე. მათგან ერთი იყო სისხლმდენი. ჩაუტარდა შესაბამისი მკურნალობა და ამჯამად პაციენტის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია – გვითხრა „მედალფას“ დირექტორმა დავით მდინარაძემ.

უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოში დეპუტატის ცემის ფაქტზე არანაირი ინფორმაცია არ მოგვცეს როგორც საკრებულოს თანამშრომლებმა, ისე „ნაციონალური მოძრაობის“ 2 დეპუტატმა, რომლებიც იმ დროს შენობაში იმყოფებოდნენ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში მომხდარ ცემის ფაქტზე შსს-მ გამოძიება 126-ე მუხლით დაიწყო.

რეპორტაჟი დვაბზუდან

ყველა დროში სეფე სიტყვის მთქმელი და არანაკლები საქმის მკეთებელი სოფელი

თემურ მარშანიშვილი

სოფელი დვაბზუ სახელდებული, მაღალი კულტურის, ტრადიციებით მდიდარი, ერთ-ერთი უძველესი საცხოვრისია გურიაში. დღევანდელი დვაბზუ, როგორც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მსხვილი ტერიტორიული ერთეული, მოიცავს თვით დვაბზუს, გაღმა დვაბზუსა და დვაბზუს ნასაკირალს, მთლიანობაში 850-მდე კომლითა და 3200-მდე მცხოვრებით.

დვაბზუს ჯერჯერობით არ ჰყავს მუნიციპალიტეტის მერის ახალი წარმომადგენელი, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ვასო ღლონტი და იური გოგოტიშვილი, რომელთა დახმარებით ეს რეპორტაჟი მომზადდა, მოსახლეობაში ავტორიტეტით სარგებლობენ და უნარიანად უძღვებიან სოფელს.

სოფელი გაზიფიცირებულია, დამთავრებულია ინდივიდუალური ელექტროგამრიცველიანება, მნიშვნელოვანი ძვრებია სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების თვალსაზრისითაც, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსებით მიმდინარეობს დვაბზუსა და ჭალა-ბოხვაურის შემაერთებული ორკილომეტრიანი გზის რესტავრაცია და მოასფალტება. სოფლის ტერიტორიაზე მდებარეობს შპს „ასკანგელ-ალიანსი“, რომელშიც დასაქმებულია ათამდე დვაბზუელი, მუშაობს ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკა, აიგო ასფალტის ქარხანა, ორივეგან მუშაობს რამდენიმე დვაბზუელი, თუმცა, ასფალტის ქარხანაზე ადგილობრივი მოსახლეობის აზრი განსხვავებულია, ერთი ნაწილი იწონებს სოფელში ამ ობიექტის აშენებას, მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ასფალტის ქარხანა ეკოლოგიურად დააბინძურებს სოფელს.

სხვა სოფლებთან შედარებით, დვაბზუს წყალი არ უჭირს, ადრე იგი მდინარე ჩუნიადან მოდიოდა, იქ იყო წყალსადენის სათავე ნაგებობა. სადღეისოდ კი ჭის წყლით სარგებლობენ. სრულყოფილად აღადგინეს ღელეები, რითაც მოიხსნა ჭებში წყლის დაშრობის საშიშროება.

მიუხედავად იმისა, რომ დვაბზუ ქალაქთან ახლომდებარე სოფელია, მიგრაციული პროცესი აქაც შეინიშნება, 120-მდე სახლია მიტოვებული. მეპატრონეების ნაწილი მხოლოდ ზაფხულობით ან თხილის სეზონზე თუ გამოჩნდება ხოლმე.

სოფელი ძირითადად სწორ რელიეფზეა განფენილი, საკარმიდამო ნაკვეთებში უმთავრესად მოჰყავთ თხილი და ერთწლიანი კულტურები. საკარმიდამო ნაკვეთის ზღვრული ნორმა დვაბზუში 1 ჰექტარია, გაღმა დვაბზუში – 6500 კვადრატული მეტრი. საკარმიდამო ნაკვეთებს გარდა, დვაბზუელებს ზღვისპირა დაბლობ ზოლში – ლეკიანსა და ჩალიანში აქვთ სავარგულები.

როგორც ვასო ღლონტმა გვითხრა, გაღმა დვაბზუში საკარმიდამოს ზღვრული ნორმა 8 000 კვადრატულ მეტრამდეც ავიდა, მაგრამ:

გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

რას ფიქრობენ ადგილობრივი პოლიტიკოსები ხელისუფლებაში განვითარებული პროცესების შესახებ?

ობის კუთხით მიმდინარე მოვლენები, აღარ აკმაყოფილებს ქართველ ხალხს. სწორედ ამან განაპირობა, რომ ქართულ საზოგადოებას ღია ჭრილობასავით ეტყობოდა უკმაყოფილების სინდრომი მართლმსაჯულებასთან, სამართლიანობის აღუდგენლობასთან დაკავშირებით – ამას დაემატა ეკ-ონომიკური სიდუხჭირე. მიუხედავად მაჩვენებლებისა, რომ თითქოს, სტაბილურად იზრდება ქართული ეკონომიკა, მოსახლეობა გრძნობს მხოლოდ სიდუხჭირეს, სიღატაკეს. ეს მაშინ, როცა სერიოზული პროექტები ხორციელდება, მათ შორის ჯანდაცვის და ასე შემდეგ. ესე იგი მთავრობას რაღაც აკლია მენეჯმენტში, მიდგომებში. რაც მთავარია და პრემიერის გადადგომის შესახებ განცხადებაშიც გაჟღერდა, მისი მიდგომები გახლდათ რადიკალურად მემარჯვენე. შენიშვნას იმსახურებდა რომ რეფორმები რომელსაც ატარებდა. არ ითვალისწინებდა მოსახლეობის სოციალური პრობლემატიკის კომპენსირებას, ფინანსურ კომპენსირებას. კერძოდ, აქციზის გაზრდის, სხვადასხვა საქონლის ფასთა მატების და ა შ. ყოფილმა პრემიერმა, თვითონ განაცხადა რომ მისი ხედვები, იყო მემარჯვენე, ამიტომ, ვფიქრობ ეს ხედვებიც უნდა შეიცვალოს. მიმდინარე მომენტში „ქართულ ოცნებას“ სხვა ამოცანები აქვს. გარდა იმისა, რომ მართლმსაჯულების მოწესრიგებასა და სამართლიანობის აღდგენაზე უნდა იფიქრო, ამავე დროს უნდა იფიქროს ეკონომიკური პროცესის გააქტიურებაზე და სიდუხჭირის აღმოფხვრაზე.

მოვლენების ასეთ განვითარებას, ველოდი. დიდი ხანია მომწიფებული იყო ეს საკითხი. მით უფრო გააქტიურდა ეს თემა, რაც ბიძინა ივანიშვილი დაბრუნდა პოლიტიკაში და გახდა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე. რა თქმა უნდა, ასეთ მდგომარეობას, ისედაც ვერ შეეგუებოდა ქართველი ხალხი, რადგანაც ბევრი რამ არის შესაცვლელი და აუცილებლად უნდა შეიცვალოს, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება.

დავით მამალაძე (ლეიბორისტული პარტია): სახეზე გვაქვს როგორც პოლიტიკური, ეკონომიკური კრიზისი, ასევე ზოგადად სისტემის კრიზისი. მთავრობის გადადგომაც ზუსტად ამ საკითხებთან არის დაკავშირებული. კარგია რაც უფრო ჩქარა მოხდება პარლამენტის თვითლიკვიდაცია და დაიგეგმება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება, საპრეზიდენტოსთან ერთად. ეს იქნება ყველაზე კარგი, უმტკივნეულო გამოსავალი ჩვენი ქვეყნისთვის. მთავრობის, პრემიერის გადადგომას ველოდი და უფრო ადრეც. რადგან სახეზე გვაქვს სისტემური, პოლიტიკური, ეკონომიკური კრიზისი. კრიზისიც აღარ ქვია უკვე ეს უკვე კატასტროფაა.

ნინო წილოსანი: „ევროპის ქვეყნებში ქალთა ჩართულობა მაღალია“

ალიონი. გასულ პარასკევს ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა ქალთა უფლებების, ოჯახში ძალადობისა და დისკრიმინაციის საკითხებზე.

შეხვედრა „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელის“ აღმსრ-ულებელმა დირექტორმა **ნინა ხატისკაცმა** გახსნა.

საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარმა დეპუტატმა, პარლამენტის გენდერული საბჭოს წევრმა **ნინო წილოსანმა** ისაუბრა ქალთა უფლებების, მათი პოლიტიკური ჩართულობისა და ეკონომიკური გაძლიერების შესახებ.

–საქართველო იყო მე-7 ქვეყანა, სადაც ქალებმა საარჩევნო ხმის უფლება მიიღო. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს 5 ქალმა დეპუტატმა მოაწერა ხელი, მაგრამ დღეის მდგომარეობით საქართველოსაგან განსხვავებით ევროპის ქვეყნებში ქალთა ჩართულობა პოლიტიკაში მაღალია.

საქართველოს პარლამენტში 2010 წლიდან მუშაობს მუდმივმომქმედი გენდერული საბჭო, გენდერერული საბჭოები შექმნილია ყველა მუნიციპალიტეტში, მაგრამ 2017 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისას ქალები 13 პროცენტითაა წარმოდგენილი მუნიციპალიტეტში. მატება წინა მოწვევის საკრებულოებთან შედარებით მხოლოდ 1,5 პროცენტია, ხოლო 64 არჩეული მერიდან, მხოლოდ 1 ქალი. არც ბიუჯეტია გენდერულად ნეიტრალური – აღნიშნა ნინო წილოსანმა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში ახლადაშექმნილი ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტის ამოცანებზე და სამომავლო საქმიანობაზე ისაუბრა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენელმა **ბელა ფიფიამ.**

– ახალი რეგულაციებით, შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოყენება შესაძლებელია ქალის მიმართ ძალადობის ფაქტის გამოვლენის ყველა შემთხვევაში და პოლიციის მიერ გაცემული შემაკავებელი ორდერის ძალაში შესვლისათვის აღარაა საჭირო მისი სასამართლოში წარდგენა – აღნიშნა მან.

დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული კანონმდებლობლობასა და მექანიზმებზე ისაუბრა საქართველოს სახალხო დამცველის ოფისისის თანა-სწორობის დეპარტამენტის წარმომადგენელმა **მარიეტა ახვლედიანმა.**

პროექტ „ადგილობრივი საბჭოს“ პრეზენტაცია

ალიონი. გასულ პარასკევს გაიმართა პროექტ „ადგილობრივი საბ-ჭოს“ პრეზენტაცია.

თემაზე –საზოგადოებრივი აქტივობების დაგეგმვის პროცესში სამიზნე ჯგუფების სწორად შერჩევა (ანტისოციალური ქცევის მქონე არასრულწლოვანების ჩართვა სხვადასხვა სპორტულ-საგანმანათლებლო აქტივობაში; ადგილობრივ მიუსაფარ ბავშვთა სახლებიდან გამოსული, 18 წელს მიღწეული ახალგაზრდების ჩართვა სოციალურ ცხოვრებაში) - ისაუბრა ოზურგეთის რაიონული პროკურატურის პროკურორმა **შოთა ჩხაიძემ.**

ოჯახურ ძალადობაზე და მისი პრევენციის მიზნით ადგილობრივ დონეზე განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვაზე ისაუბრა ოზურგეთის რაიონული პროკურატურის მთავარი პროკურორის მოადგილე **მალხაზ სირაძემ.**

გაიმართა დისკუსია რეგიონისათვის დამახასიათებელ პრობლემატურ და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საკითხებზე.

სოფლებში, „ლიბერთი ბანკის„ სერვისებით სარგებლობა, მხოლოდ განსაზღვრულ დღეებში შეეძლებათ

ალიონი. ამიერიდან სოფლებში “ლიბერთი ბანკის”, პეი ექსპრეს (**PAY Exspress**) მომსახურების ცენტრები, აღარ იმოქმედებს. რაც, შეიძლება ითქვას რომ პირველ რიგში, პენსიონერებს უქმნის დისკომფორტს და ისინი სოფლებში შეხვედრებისას ამის გამო უკმაყოფილებას გამოთქვამენ.

რა გახდა მომსახურების ცენტრების გაუქმების მიზეზი?– ვკითხეთ „ლიბერთი ბანკის“ გურიის რეგიონალური ფილიალის მმართველს, **გიორგი აბსარიძეს.**

– თქვენ უნდა დაუკავშირდეთ „ლიბერთი ბანკის“ სათაო ოფისის პრესცენტრს და ყველა კითხვაზე გაგცემენ ამომწურავ პასუხს – გვითხრა მან დ ა მოკლე კომენტარით შემოიფარგლა.

–„აბსოლიტურად ყველა სოფელში შედის ჩვენი მანქანები. ამის შესახებ წინასწარ აქვს ინფორმაცია მოსახლეობას. 2-3 დღით ადრე ხდება გრაფიკის გაკვრა. ყოველ 14 რიცხვში იწყება პენსიების გაცემა, ამის მიხედვით, სოფლის რწმუნებულთან კომუნიკაციის შემდეგ, ვთანხმდებით კონკრეტულ დროზე“ – გვითხრა აბსარიძემ.

მისივე თქმით ასე ბანკის დაცულობის ხარისხიც გაიზარდა. მანქანები სოფლებში, დაცვის თანხლებით, გადიან. შეგახსენებთ რომ რამდენიმე სოფელში, ადგილი ქონდა, პეი ექსპრეს მომსახურების ცენტრების ძარცვას (კონჭკათი, ნატანები, ცხემლისხიდი, შემოქმედი..).

„ლიბერთი ბანკი“ განსაზღვრულ დღეებში კვლავ განაგრძობს სოფლის მოსახლეობის საბანკო მომსახურებით უზრუნველყოფას. როგორიცაა: პენსიისა და სოციალური დახმარების აღება, ფულადი გზავნილის მიღება ან გაგზავნა, ანგარიშის გახსნა, სესხის აღება, კომუნალური და სხვა გადასახადების გადახდა და სხვა.

რეპორტაჟი დვაბზუდან

ყველა დროში სეფე სიტყვის მთქმელი და არანაკლები საქმის მკეთებელი სოფელი

„გაღმა დვაბზუს მოსახლეობას შესთავაზეს საკარმიდამო ნაკვეთის ზღვრული ნორმა 8000 კვადრატულ მეტრამდე შეევსოთ, სწორედ ზღვისპირა ზოლში მდებარე სავარგულების ხარჯზე. პირადად მე 3000 კვადრატული მეტრი მომცეს, ზოგს – მეტიც, მაგალითად, ჟენია მეგრელაძეს – 5000 კვადრატული მეტრი. შემდეგ, გოგიბერიძის მმართველობის პერიოდში, მოტივით ზღვის ახლომდებარე სამკილომეტრიან ზოლში არ შეიძლებოდა მიწა კერძო საკუთრება ყოფილიყო, ხალხი აიძულეს ეს ნაკვეთები დაეთმო და ზღვრული ნორმა ისევ 6500 კვადრატული მეტრი დარჩა. უფრო მოშორებით, ამ ზოლის მომიჯნავედ, დღეს რამდენიმე დვაბზუელს აქვს წარმატებული ბიზნესი, მაგალითად, ჩალიანში ჯოული ბასილაშვილი მისდევს მესაქონლეობას, ხოლო თენგიზ სკამკოჩაიშვილს სათბურში მოჰყავს ბოსტნეული კულტურები, რომლის რეალიზაციას ძირითადად ახდენს დედაქალაქში, სადაც უკვე აქვს საკუთარი მაღაზიები“.

ერთი შეხედვით, ცოტა უცნაურია, საექიმო ამბულატორია ფუნქციონირებს საბავშვო ბაღის შენობაში, მაშინ, როცა სოფლის ცენტრში დგას ჯანდაცვის სამინისტროს დაფინანსებით აგებული ამბულატორიის ტიპური შენობა.

ვასო ღლონტის განმარტებით, როცა სოფელში სახელმწიფო პროგრამით ახალი ამბულატორიის მშენებლობა გადაწყდა, ამბულატორიის თანამშრომლები ფაქტობრივად ღია ცის ქვეშ იყვნენ, რადგან შენობის ზედა სართული, რომელშიც ახლა ისინი იმყოფებიან და რომელშიც საბავშვო ბაღია განთავსებული, ფაქტობრივად გაუწყობელი იყო. ამბულატორიის ახალი შენობის დამთავრებამდე, მოხდა ამ შენობის მოწესრიგება და მასში საბავშვო ბაღისა და საექიმო ამბულატორიის განთავსება.

ამბულატორიის ექიმის თამარ თალაკვაძის თქმით, ახალი შენობა უფრო, ალბათ, ფორსმაჟორისთვის გამოდგება, ძველში კი, სადაც ამჟამად იმყოფებიან, აუცილებლად მოსაგვარებელია რამდენიმე პრობლემა:

„ახალი, ალბათ, უფრო ფორსმაჟორულ სიტუაციაში გამოდგება, სულ 36 კვადრატული მეტრია. აქ კი ფართი გაცილებით მეტია, 90 კვადრატულ მეტრამდე, თუმცა, გვაქვს პრობლემები, რომელთა გადაჭრა, ჩემი აზრით, არ უნდა იყოს ძნელი.

რაოდენ უცნაურადაც არ უნდა გეჩვენოთ, მთელი შენობა გაზიფიცირებულია, ჩვენთან კი გაზის ერთი მილიც არ არის შემოყვანილი. ნახეთ, გადაიღეთ, ყველა ფანჯარა მეტალოპლასტმასისაა, ჩვენი ორის გარდა. ვსარგებლობთ საბავშვო ბაღის წყლით, ზაფხულში კი, როცა ბაღი ისვენებს, ამბულატორია ფაქტობრივად რჩება წყლის გარეშე.

ეზო ჭიშკართან იტბორება ღელის წყლით, ფაქტობრივად დაჭაობებულია მისი გარკვეული ნაწილი. გარდა იმისა, რომ როგორც ჩვენ, ისე პაციენტებს გვექმნება გადაადგილების პრობლემა, ჭაობდება აქაურობა.

ადრე 2000 მოსახლეზე ერთი ექიმი და ერთი ექთანი მოდიოდა. დვაბზუში გაცილებით მეტი ადამიანი ცხოვრობს, ჩემი აზრით, გაღმა დვაბზუშიც უნდა იყოს საფერშლო პუნქტი.

რაც შეეხება ჩვენს ხელფასებს (ექიმისა – 500 ლარი, ექთნისა – 455 ლარი), ეს ფაქტობრივად ხელფასები კი არა, ამბულატორიის შენახვის ხარჯებია. მოგეხსენებათ, რა ღირს ზამთარში შეშა, რა ძვირია ელექტროენერგია“.

საექიმო ამბულატორიის შემდეგ, სოციალურად დაუცველი ნაზი ხინთიბიძის ოჯახს ვესტუმრეთ, ეს ის ნაზი ხინთიბიძეა, ვისი სახლიც სოფელ ძიმითში შარშან მეწყერმა შთანთქა. დაზარალებულს ადგილობრივმა ხელისუფლებამ 10 ათასი ლარი გამოუყო საცხოვრისის შესაძენად. 6 ათასი ლარის დამატებით ხინთიბიძეების ოჯახმა დვაბზუში შეიძინეს საცხოვრებელი სახლი, რომელიც საჭიროებს სახურავის შეცვლას,

როგორც ქალბატონმა ნაზიმ გვითხრა, მისი ოჯახი ამასწინათ მოინახულა ოზურგეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა არჩილ თალაკვაძემ. რომელიც გაეცნო ოჯახის პრობლემებს და შესაძლებლობის ფარგლებში დახმარებაც აღუთქვა მასპინძელს.

ქალბატონი ნაზის თქმით, თავის ხუთსულიან ოჯახს (ბებია, შვილი და შვილიშვილები) შეწყვეტილი აქვს სოციალური დახმარება. სოფლის ხელმძღვანელობის დახმარებით, სოციალურ სამსახურში შესაბამისი განცხადების გაკეთების შემდეგ, ოჯახი ხელმეორედ აღწერა სოციალურმა აგენტმა და ახალი სარეიტინგო ქულა 29 ივნისისთვის გახდება ცნობილი.

დვაბზუს ნასაკირალში გამგზავრებამდე, ჯონდო მგელაძემ შეგვიპატიჟა ეზოში, დვაბზუელს რომ შეფერის, ისე გვიმასპინძლა და თავისი ოჯახი გაგვაცნო. ჯონდო გამოცდილი ბიზნესმენია, რომელსაც ადრე თბილისსა და რუსთავშიც ჰქონდა ბიზნესი. მშობლიურ სოფელში ახლა მეფრინველეობას მოჰკიდა ხელი და საკმაოდ წარმატებითაც. დვაბზუელებმა გვითხრეს, რომ ჯონდო მათი დახმარების ტალკვესია და ყოველთვის ეიმედებათ მისი.

დაბა ნასაკირალის მიმართულებით ეკომიგრანტების 52-კომლიან დასახლებას დვაბზუელებმა სიყვარულით დაარქვეს „დვაბზუს ნასაკირალი“. ვასო ღლონტის თანხლებით, აქ მოვინახულეთ ის ადგილი, სადაც ფირმა „კაიზენი“ (ხელმძღვანელი გოჩა ერქომაიშვილი) აშენებს საბავშვო ბაღს. ბალავარი უკვე ჩაყრილია, პირველი ბეტონიც ჩასხმულია, სულ მშენებლობაზე 447 ათასი ლარის სამუშაოებია შესასრულებელი.

დვაბზუს ნასაკირალელები მიიჩნევენ, რომ, პირველ რიგში, წყლის პრობლემა უნდა გადაიჭრას. ვასო ღლონტის თქმით, ამ პრობლემას მალე მოევლება და ადგილობრივები თვითდინებით მიიღებენ წყალს.

აქაურები მომთაბარე ხალხია. ბერიძეების ოჯახის უფროსს, ზურაბ ბერიძეს 25 სული საქონელი უკვე იალაღზე ჰყავს ზოტიყელში, ბარში ოჯახს მისი ვაჟები უძღვებიან, რომლებიც საკარმიდამო ნაკვეთში მიწათმოქმედებით არიან დაკავებული. როგორც მათ გვითხრეს, უბანში უკვე ორჯერ ჩატარდა აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებები და ამ თვალსაზრისით აქ სტაბილური მდგომარეობაა.

დავინტერესდით შაინიძეების მრავალშვილიანი ოჯახის მდგომარეობით, რადგან გავიგეთ, რომ ერთ-ერთი შვილი საზღვარგარეთ მკურნალობას საჭიროებდა. სამწუხაროდ, ოჯახის არც ერთი წევრი ადგილზე არ დაგვხვდა, მეზობლების თქმით, ისინი დაკრძალვაზე იყვნენ წასული. იმავე მეზობლების მიერ გზაში დაწეული სატელეფონო ინფორმაციით, ოჯახს მოხსნილი აქვს ყველა სახის დახმარება.

აქ დამთავრდა ჩვენი სარეპორტაჟო მარშრუტი. 17 საათისათვის დავტოვეთ სოფელი, სადაც თავის დროზე აბრეშუმის გზაც კი გადიოდა, მაშინ არ არსებობდა ნასაკირალის უღელტეხილი. დვაბზუ ხომ ყველა დროში სეფე სიტყვის მფლობელი და არანაკლები საქმის მკეთებელი სოფელი იყო.

რამაზან-ბაირამი აღინიშნა

ალიონი. 15 ივნისს, საქარ-თველოში მცხოვრებმა მუსლიმებმა რამაზან-ბაირამის დღესასწაული აღნიშნეს. ტრადიციულად ბევრი მიმლოცველი იყო დაბა ნასაკირალის მეჩეთში. აქ დღესასწაულებზე ბევრი მორწმუნე მუსლიმი ჩამოდის საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან.

რამაზანის მარხვის დროს განთიადიდან მზის ჩასვლამდე მუსლიმები ყოველგვარ საჭმელსა და სასმელზე უარს ამბობენ. მარხვის დასრულების დღეს მუსლიმები ტრადიციულ ტკბილეულს ჰალვას ამზადებენ, წინაპრების საფლავებს მოინახულებენ და ნათესავებს სტუმრობენ.

–„ეს დღესასწაული, მორწმუნეთათვის რამაზნის მთვარის ღირსეული საჩუქარია. დაე, მთელს მსოფლიოში დასრულებულიყოს არეულობა, ძალადობა, სისხლისღვრა, მშობლების წუხილი, და ახალგაზრდების ტრაგედიები. დღესასწაული გა-ნაწყენებულთა შერიგების, ერთიანობის გაძლიერების და ურყევი ძმობის გა-მოვლინების საუკეთესო მომენტია“, – ნათქვამია საქართველოს მუფთის **ბეგლარ ქამაშიძის** მიმართვაში.

სოფელ დვაბზუში ჩაის ახალი საწარმო ამოქმედდა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუში ჩაის გადამამუშავებელი ახალი საწარმო ამოქმედდა. თანამედროვე სტანდარტე-ბით აღჭურვილი ჩაის გადამამუშავებელი საწარმო „საქართველოს თაიგული“ სახელმწიფოს დახმარებით, „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში შეიქმნა.

საწარმოს შექმნის ფინანსური მხარდაჭერა „სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი ახალი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის“ ფარგლებში მოხდა. საწარმოში ჯამურად 428,520 აშშ დოლარი ინვესტიცია განხორციელდა, აქედან, 171,408 აშშ დოლარი გრანტია, ხოლო 150,000 აშშ დოლარი შეღავათიანი აგროკრედიტი.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ **გიორგი ჩხეიძემ,** გურიის გუბერნატორმა **მერაბ ჭანუყვაძემ** და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორმა **რევაზ ასათიანმა,** ჩაის გადამამუშავებელი საწარმო დაათვალიერეს და საწარმოო პროცესს გაეცნენ.

კომპანია წელიწადში 15 ტონა სხვადასხვა დასახელების ჩაის აწარმოებს, რისთვისაც მხოლოდ ადგილობრივ ნედლეულს იყენებს. პროდუქციის რეალიზაცია გათვლილია ადგილობრივ ბაზარზე; სამომავლოდ იგეგმება მისი ექსპორტზე გატანაც. საწარმოში 10 ადამიანია დასაქმებული.

კომპანიაში 2018 წლის ბოლოსთვის **USAID/REAP**-ისა და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მხარდაჭერით, სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტი - **ISO** 22:000 დაინერგება. 2013 წლიდან დღემდე, სახელმწიფოს დახმარებით, „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში, 170 ახალი და 845-ზე მეტი მოქმედი საწარმო დაფინანსდა. საიდანაც, გურიის რეგიონში შეიქმნა 7 ახალი და გადაიარაღდა, გაფართოვდა 7 საწარმო. სახელმწიფოს ფინანსურმა მხარდაჭერამ მეწარმეებს დამატებითი ბიძგი მისცა, წარმოების განვითარება-გაფართოებისთვის.

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო „აწარმოე საქართველოში - ბიზნესის“ ფარგლებში, ახორციელებს „ერთიან აგროპროექტს“, რომელიც გათვლილია გრძელვადიან განვითარებაზე და მისი მიზანია ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობაში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას.

შეხვედრა გენდერული თანასწორობისა და ოჯახური ძალადობის თემებზე

ორგანიზაცია „ქალთა ცენტრმა“, გენდერული თანასწორობისა და ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის თემებზე, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის წარმომადგენელ ექიმებთან, თვითმმართველობის, მედიის, პოლიციის წარმომადგენლებთან, სოციალურ მუშაკებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრა, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გამართა.

შეხვედრაზე განხილული იქნა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისთვის გასატარებელ ღონისძიებათა 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმები, რაც ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის, სახელმწიფო სტრუქტურების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლივ ჩართულობასა და ძალისხმევას. სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის კოორდინირებული მუშაობის კანონით დადგენილ და პრაქტიკაში არსებულ ეფექტიანობას. შეხვედრა ითვალისწინებდა ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის, საქართველოში არსებული სერვისებზე ინფორმაციების ხელმისაწვდომობას. მათ შორის ოზურგეთში დაგეგმილი კრიზისული ცენტრის გახსნასთან დაკავშირებით.

შეხვედრაზე მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებმა ადგილობრივ თვითმმართველობებში, არსებულ მდგომარეობასა და პროგრამებით გათვალისწინებულ სერვისებზე ისაუბრეს.

დ

„ჭადრების ბაღის“ ბინადარნი

ამ ქვეყნად შემთხვევით არაფერი ხდება. შემთხვევითი არ არის, რომ ის დიდებული ხალხი გავახსენე მის ჭირისუფალს, მის სამეგობროს და მთელ ოზურგეთს. ფიზიკურად და სულიერად ლამაზი ხალხი დაგვაკლდა, ზოგი ჩემი ტოლი, ზოგი ჩემზე უფროსი, უფრო მეტი უფროსი, ისინი წავიდნენ... რატომ წავიდნენ? ყოფილიყვნენ, დაშავდებოდა რამე? მოვიძიე მათი სურათები, მივენდე მოგონებებს და გავიხსენე ის ბედნიერი დღეები, როდესაც ერთად ვიყავით.

„ჭადრების ბაღში“ არაფერი შეცვლილა, ძველებურად იყიდება „ტარასის წყალი“. ძველებურად სხედან ხახუტა ღლონტის მიერ გაკეთებულ ძელსკამზე ახალი თაობის წარმომადგენლები, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემ მიერ ჩამოთვლილი პერსონები ვეღარ მოესწრნენ ყოველივეს, ვეღარ გაივლიან თავიანთ საყვარელ ოზურგეთის ქუჩებში ლაღად. ჩვენ კი ყველა გვახსოვს და გვემახსოვრება მანამ, სანამ ვიქნებით ამ ცოდვილ ქვეყანაზე. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მათი სულები...

ამ ნომერში ვამთავრებთ ჭადრების ბაღის“ ბინადართა მოგონებას, კიდევ ერთხელ მოვიხდი ბოდიშს თუ ვინმე გამომრჩა, ვინმეს ისე ვერ მოვეფერე, როგორც იმსახურებდა.

მაშ ასე:

– **გივი მელუა,** გაზის ტრესტის მმართველი;
– **რეზო გუბელიძე,** ბუღალტერ-ეკონომისტი;
– **თამაზ გუბელიძე**, ინჟინერი;
– **დათო იმედაშვილი**, კავშირგაბმულობის დირექტორი;
– **ჟორა ერქომაიშვილი,** ომის ვეტერანი;
– **ელგუჯა ხომერიკი,** ექიმი, ქირურგი;
– **გერონტი ღლონტი,** წარმატებული მხატვარი;
– **თანდულა ნაცვალაძე**, ქორეოგრაფი, ანსამბლ „შვიდკაცას“ წევრი;
– **გივი ახმეტელი,** საქართველოს დამსახურებული არტისტი;
– **ვახტანგ სალუქვაძე**, დამსახურებული იურისტი;
– **ნილოსი გუგუნავა,** სწავლული აგრონომი;
– **შოთა ქიქოძე**, ექიმი;
– **ავთო (ავთორა) ურუშაძე**, ექიმი;
– **რეზო ურუშაძე**, აგრონომი, ბაზიერი;
– **კიკოლიკა თაყაიშვილი**, ოზურგეთის კოლორიტი, ჰქონდა მოძრავი „სიკინჭილა“;
– **საყვალა სალუქვაძე**, არქიტექტორი;
– **ჰამლეტ დოლიძე**, პედაგოგი, მუსიკოსი, ქორეოგრაფი, ფეხბურთელი;
– **ავთო ლომთათიძე,** უნივერსამის დირექტორი;
– **ბიჭიკო მეგრელაძე,** სპორტის ოსტატი სასტენტო სროლაში;
– **ლერი უჯმაჯურიძე**, არაჩვეულებრივად თბილი პიროვნება;
– **ნოდარ ვანიძე,** ფეხსაცმელების არტელის უფროსი;
– **იუზა მამულაშვილი,** კავშირგაბმულობის მუშაკი;
– **ჯემალ მამულაშვილი,** საკონსერვო ქარხნის ტექნოლოგი;
– **მერაბ მამულაშვილი,** ეკონომისტი, საქონელმცოდნე;
– **ზაზა გაბუნია**, ექიმი, ოროლოგი;
– **ჯუმბერ დუნდუა**, ცნობილი ქორეოგრაფი;
– **გივი პაპიძე,** რაიონის ყოფილი კომისარი;
– **გელა სიამაშვილი**, სწავლული აფრონომ-ეკონომისტი;
– **ნოდარ ქარცივაძე,** ანსამბლ „შვიდკაცას“ წევრი;
– **თემურ ცქვიტინიძე,** ინჟინერი;
– **ოთარ გოგუაძე,** მუსიკოსი;
– **გერა ღლონტი**, ინჟინერ-მშენებელი;
– **თემურ ნიკოლაიშვილი**, საგადასახადო სამსახურის უფროსი;
– **იური ჩიხლაძე**, მუსიკოსი;
– **ნუგზარ ტუღუში**, (ბაცუნა), საგზაო სამმართველოს უფროსი;
– **ომარ ხელაძე**, ეკონომისტი;
– **ლევან კიკვაძე,** საქვაჭრობის დირექტორი;
– **ზალიკო სამსონიძე**, სპორტსმენი, მუსიკოსი;
– **კუკური ნინიძე,** ავტოინჟინერი;
– **აზიკო კალანდაძე,** ინჟინერ-მექანიზატორი;
– **ია მოლარიშვილი,** ისტორიკოსი;
– **თემურ გოგიბერიძე**, (ბეხლეწა), სტუდენტი;
– **რუსლან თალაკვაძე,** მეთევზე და მონადირე;
– **ზაურ ჩავლეიშვილი** (პესკა), ვაჭრობის მუშაკი;
– **მამია თუთაიშვილი,** თეატრალური მხატვარი;
– **ვლადიმერ ჯინჭარაძე**, მონადირეთა კავშირის თავმჯდომარე;
– **შოთა გოგუა**, ნასაკირალის ჩაის ფაბრიკის დირექტორი;
– **გურამ ცერცვაძე,** ტექნოლოგი;
– **ავთო ჯიჯიეშვილი**, ტექნოლოგი;
– **ზურაბ გადახაბაძე**, ანსამბლ „შვიდკაცას“ წევრი.

ბახუტა ოთხმეზური

დ

„და ეს მოხდა ქობულეთში... სისხლმა აჯობა სარწმუნოებას

100 წელი ქობულეთის რეფერენდუმიდან

თემურ მარშანიშვილი

ხმას ვაძლევ საქართველოს

100 წელი

26 მაისი

ეს დღე ჩვენია

გილოცავთ დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს 26 მაისი 2018 წელი

ძვირფასო ქობულეთელებო!

დღეს 26 მაისია, თარიღი, რომელიც აღდგენილი დამოუკიდებლობის ნიშანსვეტად იქცა. ამ დღეს მთელ ქვეყანასთან ერთად ჩვენც ვზეიმობთ, შთამომავლობა იმ გმირი ქობულეთელი წინაპრებისა, რომელთა თავგანწირვამ შეძლო დედა-საქართველოსთვის აჭარის შენარჩუნება.

წელსვე, 14 ივლისს 100 წელი სრულდება ქობულეთის რეფერენდუმიდან . სწორედ ქობულეთელთა ვაჟკაცობამ, გონიერებამ, მოხერხებულობამ უდიდესი პოლიტიკური და ეროვნული მნიშვნელობა შესძინა ამ მოვლენას. სამწუხაროდ, ამის შესახებ ძალიან ცოტა ვინმემ თუ იცის, და წლების განმავლობაში იგნორირებით, წაყრუებით მივიწყებას მიეცა იმ დიდ მამულიშვილთა სახელები, რომელთაც ღირსეულად იცხოვრეს და ზვარაკად დადგნენ მამულის სამსხვერპლოზე.

სწორედ რეფერენდუმის და გმირ ქობულეთელთა უკვდავყოფა ჩვენი საინიციატივო ჯგუფის მიზანი. ამ დღესთან დაკავშირებით ვაპირებთ რიგი ღონისძიებების ნატარებას, რითაც გვსურს ქობულეთელთა მიჩქმალული გმირული ისტორიის წარმოჩენა, ისტორისა, რომელიც სათანადო აღიარების შემთხვევაში ღირსეულ ადგილს დაიჭერს საქართველოს მრავალჭირნახულ მატიანეში.

საინიციატივო ჯგუფის კარი ყველასთვის ღიაა: ამ თავისუფლებისმოყვარე და თავგანწირული ხალხის შთამომავლებისა და იმათთვისაც, ვისაც ეამაყება ქობულეთელობა და შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს ამ საშვილიშვილო წამოწყების განხორციელებაში.

გზა რეფერენდუმამდე...

1918 წლის 1-ელ აპრილს 3 საათზე ოსმალეთის რეგულარული ჯარის ნაწილებმა ბათუმი დაიკავეს. შექმნილი რთული ვითარების გამო წინააღმდეგობის ცენტრმა ბათუმიდან ქობულეთში გადმოინაცვლა. და შტაბმა ოზურგეთში ბინა კოტე მამულაშვილის ბინაში დაიდო. (დღევანდელი მემედ აბაშიძის ქუჩა №19). აქ იკრიბებოდა სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის ოზურგეთის განყოფილება. მალე მათ შეუერთდა ოსმალეთის საოკუპაციო ხელისუფლებისაგან დევნილები რეჯებ ნიჟარაძე, გულო კაიკაციშვილი, ხასან თხილაიშვილი, მემედ გოგიბერიძე, რიზა ბუჯანიძე, ოსმან მოწყობილი, მურად ინაიშვილი, ახმედ ჯაფარიძე, რიზა გოგიბერიძე, ისმაილ, მურად, აზიზ კაიკაციშვილები, დურსუნ და ახმედ თხილაიშვილები, იუსუფ მახარაძე.

დიდი წინააღმდეგობისა და მცდელობის მიუხედავად, მოვლენები მაინც დრამატულად ვითარდებოდა... ოსმალებმა გაიმაგრეს პოზიციები ბათუმში და ქობულეთში შემოიყვანეს კარგად გაწვრთნილ-შეიარაღებული გალიპოლის დივიზია 7 ათასი მეომრის შემადგენლობით. გამოჩნდა, რომ ოსმალეთს შორსმიმავალი გეგმები ჰქონდათ და მარტო ქობულეთს და აჭარას არ დასჯერდებოდნენ. ამ სიტუაციაში სახიფათო მაგრამ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღეს ამიერკავკასიის სეიმში შემავალმა მთავრობის ქართულმა ნაწილმა და გენერალმა გიორგი მაზნიაშვილმა. მან უმოკლეს ვადაში 1500 მეომარს მოუყარა თავი, დაიმატა მოხალისეები, ადგილობრივი აქტივისტები და 7-8 აპრილს ჩოლოქთან და ოჩხამურთან მდგომ ოსმალურ ნაწილებს პირველი და სერიოზული მარცხი აგემა. 19 აპრილს კი ვალოდია გოგუაძის ჯავშნოსანი მატარებელიც ჩაერთო ბრძოლებში და ქართულმა შენაერთებმა ბრწყინვალე სამხედრო ოპერაცია განახორციელა. წყაროებით დგინდება, რომ ოსმალებმა დაკარგეს 1015 ასკერი და 600-ზე მეტი დაიჭრა, მაშინ, როცა ჩვენგან მხოლოდ 4 მებრძოლი დაიღუპა და 30 დაიჭრა.

100 წელი ქობულეთის რეფერენდუმიდან

14 ივლისს სრულდება 100 წელი ქობულეთის რეფერენდუმიდან, რომლითაც შესაძლებელი გახდა დედა საქართველოსთვის აჭარის შენარჩუნება. ამ თარიღთან დაკავშირებით შექმნილი საინიციატივო ჯგუფის მიზანია ქობულეთელთა მაშინდელი გმირობის წარმოჩენა, მიჩქმალული ისტორიის სამზეოზე გამოტანა, რომელიც, სათანადო აღიარების შემთხვევაში, ღირსეულ ადგილს დაიჭერს საქართველოს მრავალჭირნახულ მატიანეში.

სწორედ ქობულეთელთა ვაჟკაცობამ, გონიერებამ, მოხერხებულობამ უდიდესი პოლიტიკური და ეროვნული მნიშვნელობა შესძინა ამ მოვლენას. ამის შესახებ ძალიან ცოტა ვინმემ თუ იცის. წლების განმავლობაში იგნორირებით, წაყრუებით კი მივიწყებას მიეცა იმ დიდ მამულიშვილთა სახელები, რომელთაც ღირსეულად იცხოვრეს და ზვარაკად დადგნენ მამულის სამსხვერპლოზე.

საინიციატივო ჯგუფის მიერ გამოშვებულ საინფორმაციო ფურცელში ვკითხულობთ, რომ მისი კარი ღიაა როგორც ამ თავისუფლებისმოყვარე და თავგანწირული ხალხის შთამომავლებისთვის, ისე იმათთვისაც, ვისაც ეამაყება ქობულეთელობა, ქართველობა და შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს ამ საშვილიშვილო წამოწყების განხორციელებაში.

საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთი წევრის თემურ აფხაზავას საშუალებით, ხსენებული საინფორმაციო ფურცლის გაცნობის შემდეგ, გაზეთმა „ალიონმაც“ ინტერესით შეაბიჯა ამ ღია კარში და წინამდებარე მიმოხილვითი ხასიათის პუბლიკაციის ქვესათაურად გამოიყენა საინიციატივო ჯგუფის უხუცესი წევრის ოთარ კონცელიძის ფრთიანი ფრაზა: „და ეს მოხდა ქობულეთში... სისხლმა აჯობა სარწმუნოებას“.

როგორც საინფორმაციო ფურცლის პირველ გვერდზე ვკითხულობთ, 1918 წლის პირველ აპრილს, 3 საათზე ოსმალეთის რეგულარული ჯარის ნაწილებმა ბათუმი დაიკავეს. შექმნილი რთული ვითარების გამო, წინააღმდეგობის ცენტრმა ბათუმიდან ქობულეთში გადმოინაცვლა და შტაბმა ბინა დაიდო ოზურგეთში, კოტე მამულაშვილის ბინაში . აქ იკრიბებოდა სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის ოზურგეთის განყოფილება. მალე მათ შეუერთდა ოსმალეთის საოკუპაციო ხელისუფლებისაგან დევნილები: რეჯებ ნიჟარაძე, გულო კაიკაციშვილი, ხასან თხილაიშვილი, მემედ გოგიბერიძე, რიზა ბეჟანიძე, ოსმან მოწყობილი, მურად ინაიშვილი, ახმედ ჯაფარიძე, რიზა გოგიბერიძე, ისმაილ, მურად, აზიზ კაიკაციშვილები, დურსუნ და ახმედ თხილაიშვილები, იუსუფ მახარაძე.

დიდი წინააღმდეგობისა და მცდელობის მიუხედავად, მოვლენები მაინც დრამატულად ვითარდებოდა... ოსმალებმა გაიმაგრეს პოზიციები ბათუმში და ქობულეთში შემოიყვანეს კარგად გაწვრთნილ-შეიარაღებული გალიპოლის დივიზია 7 ათასი მეომრის შემადგენლობით. გამოჩნდა, რომ ოსმალეთს შორსმიმავალი გეგმები ჰქონდათ და მარტო ქობულეთს და აჭარას არ დასჯერდებოდნენ. ამ სიტუაციაში სახიფათო, მაგრამ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღეს ამიერკავკასიის სეიმში შემავალმა მთავრობის ქართულმა ნაწილმა და გენერალმა გიორგი მაზნიაშვილმა. გენერალმა უმოკლეს ვადაში 1500 მეომარს მოუყარა თავი, დაიმატა მოხალისეები, ადგილობრივი აქტივისტები და 7-8 აპრილს ჩოლოქთან და ოჩხამურთან მდგომ ოსმალურ ნაწილებს პირველი და სერიოზული მარცხი აგემა. 19 აპრილს კი ვალოდია გოგუაძის ჯავშნოსანი მატარებელიც ჩაერთო ბრძოლებში და ქართულმა შენაერთებმა ბრწყინვალე სამხედრო ოპერაცია განახორციელა.

წყაროებით დგინდება, რომ ოსმალებმა დაკარგეს 1015 ასკერი და 600-ზე მეტი დაიჭრათ, მაშინ, როცა ჩვენგან მხოლოდ 4 მებრძოლი დაიღუპა და 30 დაიჭრა.

ეს გამარჯვება დაჩრდილა თურქების მიერ ოზურგეთის აღებამ, რითაც მაზმიაშვილის ძალებს ალყაში მოქცევის საფრთხე შექმნა. ისევ გენერალმა მაზნიაშვილმა იმარჯვა, ძალების გადაჯგუფებით, წერეთლის ნაცვლად, სარდლად გენერალი გიორგი სუმბათაშვილის დანიშვნით, შეძლო ოზურგეთში ოსმალების შევიწროება. მოწინააღმდეგე ქალაქის დატოვებას აპირებდა, რომ მაზნიაშვილმა მიიღო ბრძანება სამხედრო მოქმედებების შეწყვეტის შესახებ დროებითი ზავის გამო.

სწორედ ამ წარმატებებმა აიძულა ოსმალეთი ხელი აეღო თავის მზაკვრულ განზრახვაზე და მოლაპარაკებების მაგიდას მიჯდომოდა.

როგორც კი დაინახა, რომ ძალით ვერაფერს გახდებოდა, ოსმალეთმა აჭარის ხელში ჩასაგდებად უსისხლო მეთოდებით დაიწყო ბრძოლა, რამაც მიგვიყვანა რეფერენდუმამდე, რომლის ჩატარებაც ოსმალეთის იმპერიამ თვითნებურად, ევროპის გარეშე გადაწვიტა.

ხმის მიცემამდე განმათავისუფლებელი კომიტეტის წევრმა ხასან თხილაიშვილმა შეძლო ხალხისთვის მიემართა და სიმართლე ეთქვა: „დღეს აქ როგორც გუბერნატორი ხალხს მოუწოდებს, ისე არა დგას კითხვა. აქ სარწმუნოება არაფერ შუაშია. აქ არსებობს პოლიტიკური საკითხი. არ მოტყუვდეთ და ოსმალებს არ მისცეთ ხმა. ყველამ ხმა მივცეთ ჩვენს ძმებს, ქართველებს“.

გუბერნატორმა ჰკითხა: „ახლა შენ მუსულმანობა გინდა თუ ქრისტიანობა?“

ხასან თხილაიშვილმა უპასუხა: „მე მუსულმანობა მინდა, მაგრამ სულთანის, ფაშებისა და ბეგების მონობა არ მინდა“.

შეიარაღებული ასკერების გარემოცვაში, ფიჭვნარში ქობულეთელები რეფერენდუმზე მეორედ დაიბარეს... ან თურქეთი, ან საქართველო... არჩევანი იმათ შორის, ვის წინააღმდეგაც სისხლს ღვრიდნენ და ვისთვისაც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ.

დაბნეულ, გაურკვევლობაში ჩავარდნილ ქობულეთელებს 25 წლის ახოვანმა ახალგაზრდამ, ხასან თხილაიშვილმა დინჯად, უშიშრად, შემართებით ამაყად და ალალად აუხსნა, რომ ამ რეფერენდუმით სარწმუნოებრივი კი არა, ეროვნული საკითხი წყდებოდა, რომ სარწმუნოებით მუსლიმები ეროვნებით ქართველები იყვნენ და ისინი საბოლოოდ უნდა შეერთებოდნენ თავიანთ დედასამშობლოს, საქართველოს და ხმამაღლა, ყველას წინაშე განაცხადა: „ხმას ვაძლევ საქართველოს“ და თავისი კენჭი საქართველოს სასარგებლოდ ჩააგდო.

გაცეცხლებულმა თურქებმა ხასან თხილაიშვილი ზარბაზანზე გააკრეს და გასროლა გადაწყვიტეს. არ შემდრკალა, ვაჟკაცურად დაელოდა თავის მოწამეობრივ აღსასრულს. ამ დროს კი მეორე ქობულეთელმა ახმად ჯაფარიძემ (დოხჩიროღლი) არანაკლებ სარისკო და გაბედული ნაბიჯი გადადგა და განაცხადა – თუ ხასან თხილაიშვილს არ გაათავისუფლებდნენ, იქ მყოფი არც ერთი კაცი სახლში ცოცხალი არ წავიდოდა. და ეს თქვა ასკერებითა და ზარბაზნებით გარშემორტყმულმა და იქ მდგომი ხალხი რეალურ ძალად აქცია.

საინიციატივო ჯგუფის უხუცესი წევრი ოთარ კონცელიძე წერს: „ქობულეთის რეფერენდუმი ნათელი მაგალითია სხვადასხვა რელიგიური მრწამსის ორი ქართველის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აზროვნებისა. ისკანდერ ეფენდი ცივაძე ყურანით, ხოლო ბენიამინ ღლონტი სახარებით აქტიურად მონაწილეობდნენ ამ რეფერენდუმის მომზადებასა და იმგვარად ჩატარებაში, რომ შედეგი სასიკეთო ყოფილიყო მხოლოდ საქართველოსთვის.

და ეს მოხდა ქობულეთში... სისხლმა აჯობა სარწმუნოებას.

დიახ, ჩვენ ამ მოდგმის ხალხი ვართ, კვლავაც შევძლებთ ლაშარის გორზე შადგომას...

მე, როგორც უხუცესი კაცი, რომელიც ვიცნობდი ამ რეფერენდუმის მონაწილეებს, მოგიწოდებთ, ქობულეთელებო, იაქტიურეთ და მხარი დაუჭირეთ საინიციატივო ჯგუფს ამ სასიკეთო წამოწყებაში.“

საინფორმაციო ფურცელში გამოქვეყნებულია ოსმალური სადამსჯელო, რეპრესიული რაზმის „ჩეთეს“ საწინააღმდეგოდ და შეიწროებულ ქობულეთელთა დასაცავად შექმნილი „მფრინავი რაზმის“, ასევე 1918 წლის 14 ივლისს ქობულეთში ჩატარებული რეფერენდუმის აქტიური მხარდამჭერებისა და ორგანიზატორების სიები.

საინიციატივო ჯგუფი, რომელიც ყოველ შაბათს 17 საათზე იკრიბება, თავისი მწირი რესურსებით ცდილობს, რეფერენდმის ჩატარების ადგილას დადგას სტელა, შეუკვეთოს დოკუმენტური ფილმი, გამოუშვას მონოგრაფია და საუბილეო გაზეთი, მოუწოდებს ქობულეთელებს თავიანთი წვლილი შეიტანონ ამ მამულიშვილურ საქმეში.

ვა სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გვჭირსა...

ჩვენს ერს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ამ ხნის განმავლობაში ბევრი უბედურება დატრიალდა ჩვენს თავზე, ვიჭირვებდით, ვუძლებდით, ვაგრძელებდით და ვაგრძელებთ არსებობას. ისტორიულმა ბედუკუღმართობამ, ძალმომრეობამ ბევრი ქართველი მოწყვიტა მშობლიურ მიწას. ურიცხვ მტერთა შემოსევების დროს ხდებოდა ქართველთა ძალად გადასახლება, ტერიტორიების მიტაცება, რწმენის დაკარგვა....

XV საუკუნიდან დაწყებული XIX საუკუნის შუა ხანებამდე ოსმალეთში, ირანში, ერყში, ეგვიპტეში მრავალი ქართველი გადასახლეს. ნაწილი ტყვედ(მონად) გაყიდეს ფეოდალებმა. ნაწილი ოსმალების მიერ იქნა მოტაცებული. ქართველ ტყვეთა გაყვანის ფაქტები ფიქსირდება ინგლისსა და გერმანიაშიც. ზ. ჭიჭინაძის ცნობით, 1795 წელს ბათუმიდან გურიაში სტუმრად შემოსულან ინგლისელები, მათ გურიაში, ბათუმში, ტრაპიზონსა და სტამბულში ბევრი გურული გოგო-ბიჭი უყიდიათ და ინგლისში წაუყვანიათ. აღწერილია შემთხვევა, როდესაც ერთი ძმა თავად ნაკაშიძეს ინგლისელებისთვის (1798წ) მიუყიდია, მეორე კი რუსი ოფიცრისთვის (1820წ) 1846 წელს ეს ძმა ინგლისში ჩასულა ძმის სანახავად და ბევრი გურული უნახავს ლონდონში.

გურული გოგო-ბიჭები გერმანელებსაც უყიდიათ (1795-1820 წლებში)ისინი ლუთერის მიმდევარი გამხდარან. ერთ გურულს მეწაღეობა დაუწყია და ბერლინის ერთ ქუჩაზე თავის მაღაზიაც ჰქონია. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ზოგიერთი ტყვე ოსმალეთიდან გარბოდა და ევროპაში ჩადიოდა. მათი სამშობლოში დაბრუნების ფაქტები ძალიან იშვიათია. ასეთ იშვიათობას წარმოადგენს გაყიდული იოსებ ლაზარეს ძე წილოსანი, რომელიც საქართველოში დაბრუნდა და მთელი თავისი ცოდნა და განათლება მშობლიურ ქვეყანას მოახმარა . კულტურულ ასპარეზზე მან თავისი კვალი დატოვა.

1812 წელს გურიის სამთავროს სოფელ ლანჩხუთში ლაზარე წილოსანის ოჯახს თავს დაესხნენ თანამემამულე ავაზაკები, ააწიოკეს ოჯახი და 8 წლის ვაჟი იოსები გაიტაცეს. იოსები ფოთში ჩაიყვანეს და ციხის უფროსს, ვინმე ალიბეგს მიაბარეს, შემდეგ კი მისი ხელშეწყობით მიჰყიდეს ხოფის მცხოვრებს, რომელიც ფოთში იყო ჩამოსული ოსმალეთის ხონთქრისა და ეგვიპტის ფაშისთვის ქართველი გოგო-ბიჭების შესაძენად.

იოსები და მისი თანატოლი მემამულეები (მათ შორის სამეგრელოდან მოტაცებული ბავშვი, შემდგომში სელიმი) სტამბულში ჩაიყვანეს, შემდეგ იოსები და სელიმი ეგვიპტეში წაიყვანეს, სადაც ისინი მიჰყიდეს ეგვიპტის ფაშის ერთ-ერთ დიდ მოხელეს მირახ-ორ- მაჰომედაღას. იგი განთქმული იყო თავისი სიმდიდრით, მას მემკვიდრედ ერთი ქალიშვილი ჰყავდა (სეით-ზეინაბი). ბავშვებს ბედმა გაუღიმა - იოსები და სელიმი ერთმანეთს არ დააშორეს. მათ თავისი სანდომიანი გარეგნობით, ქცევით, ზრდილობითა და თავაზიანობით მიიპყრეს მირახორ-აღას ყურადღება. მას განსაკუთრებით წილოსანი მოეწონა და იგი შემდგომში თავის სასიძოდ გამოაცხადა. მათი

გვ-6

ვა სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გვჭირსა...

დაქორწინება გადაწყვიტა ქალიშვილის სრულწლოვნად გახდომის შემდეგ. იოსებს მასწავლებელები მიუჩინეს, რომელებიც არაბულსა და თურქულს ასწავლიდნენ. შემდეგ პარიზში გაგზავნეს სასწავლებლად, სადაც საინჟინრო საქმე უნდა შეესწავლა, პარიზში იოსებმა 4 წელი დაჰყო, სწავლა დაამთავრა 1831 წელს. მას დიდი მომავალი ელოდა ეგვიპტეში, მაგრამ სამშობლოში დაბრუნების სურვილი ჰკლავდა. ამავე პერიოდში უეცრად გარდაიცვალა მისი სასიმამრო. „ თვალში სინათლე დამიბნელდა, რადგანაც მე იმ კაცს, როგორც ჩემს აღმზრდელს, პატივს ვცემდი, მე ის მიყვარდა“– ერდა შემდგომ იოსები.

1829 წელს რუსეთმა და ოსმალეთმა სამშვიდობო ზავი შეკრეს. ზავის თანახმად ტყვეებად გაყიდულებს ან სამხედრო ტყვეებად წაყვანილებს თურქეთში იქნებოდა ეს თუ ეგვიპტეში , ნება ეძლეოდათ თავისი უძრავი და მოძრავი ქონება გაეყიდათ და სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ.

ალი-ამედი-ეფენდიმ/იოსებმა/ აღარ სდია თავის უძრავ-მოძრავი ქონების საკითხს, მიატოვა პირიზი და სტამბოლში ჩავიდა, სადაც რუსეთის საიმპერატორო დესპანს-გრაფ მედებს მიაკითხა და თავისი ვინაობა გააცნო. მოკლე ხანში აღიდგინა თავისი ნამდვილი სახელი და გვარი.

მას ფიცი დაადებინეს რუსეთის ქვეშემდომობაზე და იმპერატორ ნიკოლოზ I ერთგულებაზე. ამის შედეგ იგი სამშობლოში გამოემგზავრა ბარონ როზენის განკარგულებაში „ სათანადოდ“ გამოსაყენებლად.

იოსები პირველად ლანჩხუთში ჩავიდა, მაგრამ თავისი დედ-მამა დახოცილი დახვდა, მერე თბილისისკენ გამოეშურა და გამოეცხადა გენერალ როზენს, რომელიმაც 1832 წლის 2 ნოემბერს გაამწესა თავის კანცელარიაში მთარგმნელად (მხედველობაში არ იქნა მიღებული მისი სამხედრო განათლება და სინჟინრო სპეციალობა) წლინახევრის შემდეგ ბარონ როზენის შუამდგომლობით და დახასიათებით მას მისცეს პრაპორშჩიკის ჩინი და დაენიშნა 150 „ ჩერვონეცი“ წლიური ჯამაგირი. იოსები მალე კავკასიის ცალკე კორპუსის შემადგენლობაში ჩარიცხეს და ომში გაიწვიეს წებელდასა და ადლერის მიმართულებით.

ამავე პერიოდში მან დაიწყო დავა ეგვიპტის მთავრობასა და სამღვდელოებასთან იმ მემკვიდრეობის შესახებ, რომელიც მას ეკუთვნოდა მირახორ-აღას ანდერძის თანახმად. ამ დროისთვის მირახორ-აღას ქალიშვილი იოსების საცოლე უკვე გათხოვილიც იყო და გარდაცვლილიც, იგი ქმარს მოუკლავს. გარკვეული დავისა და მოთხოვნის გაგზავნის შემდეგ ეგვიპტის მუფტიმ თბილისის მუფტის საშვალებით უპასუხა , რომ ქონებაზე წილოსანს უარი ეთქვა, რადგანაც იგი განუდგა ყურანს და უღალატა სარწმუნოებას.

40-იან წლებში წილოსანმა ცოლად მოიყვანა სომეხი დეკანოზის ნიკოლოზ იზმიროვის ქალი ეფემია , რომელიც საკმაო ქონების პატრონი იყო.

1844-1845 წლებში შეიქმნება მეფისნაცვლის თანამდებობა . ამ თანამდებობაზე დაინიშნა მიხეილ ვორონცოვი. ამ პერიოდში თბილისში წარმოიშვა ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეთა ანუ მოწინავე ინტელიგენციის ახალი თაობა, რომელიც წინ უსწრებდა თერგდალეულთა თაობას. წილოსანი ებმება მეცნიერულ მუშაობაში (ენათმეცნიერები დარგი) და იგი უკავშირდება აკადემიკოს ბროსეს.

1845-1847 წლებში იოსები მუშაობს კავკასიის არმიის შტაბში. იგი მივლინებული იქნა ტრაპიზონში გურული დესპანების საბუთების სათარგმნელად ოსმალურიდან რუსულად. ამ პერიოდში მან დაწერა აღმოსავლური ენების თვითმასწავლებელი. 1848 წელს იგი გადის პენსიაზე და ინტენსიურად მუშაობს თავის შრომებზე. 1856 წელს გამოსცა 607 გვერდიანი პირველი ბეჭვდითი შრომა- რუსულ-ფრანგულ- თურქული ლექსიკონი.

შემდგომში დაამთავრა შრომა არაბულ და ფრანგულ ენებზე. იგი წარმოადგენ არაბული ენის სასწავლო სახელმძღვანელოს (გამოთქმითა და თარგმნით თურქულსა და ფრანგულ ენებზე) ხელნაწერი შესრულებულია 500 გვერდზე, შრომა შეიცავს 4 ენას-არაბულს, ,თურქულს, სპარსულს და რუსულს.

იოსები აქტიურ მონაწილეობა იღებდა სხვადასხვა ხელნაწერისა და საბუთის თარგმნაში სპარსული ენიდან. ხელმოკლეობის გამო 1859 წელს იგი კვლავ ბრუნდება სამხედრო სამსახურში და მთარგმნელად ინიშნება თავის ძველ თანამდებობაზე.

1872 წელს ი. წილოსანსპოლკოვნიკის ჩინი მიანიჭეს. მას გადაწყვეტილი ჰქონდა 1873 წელს, ხანდაზმულობის გამოსამხედრო სამსახურისთვის თავი დაენებებინა, მაგრამ მოულოდნელად გარდაიცვალა. იგი ცხოვრობდა თბილისში, ოლღას ქუჩაზე, ჰყავდა სამი შვილი - მარიამი, დაბადებული 1842 წელს, რომელიც გათხოვილი იყო ცისკარიშვილზე, ნატალია, დაბადებული 1843 წელს, გათხოვილი - ფორაქიშვილზე და ვაჟიშვილი ნიკოლოზი.

იოსებ ლაზარეს ძე წილოსანის ბიოგრაფია შეისწავლა ივანე არჯევანიძემ და ვრცელი სტატია გამოაქვეყნა 1946 წელს.

ძალით გადასახლებული ქართველი ხალხი ტირილითა და გოდებით ტოვებდა სამშობლოს, კარგავდა თავის ეროვნებას, ენას სარწმუნოებას... სამწუხაროდ, XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში მოსახლეობამ თავისი ნებით მასობრივად დაიწყო უცხო ქვეყანაში წასვლა სამუშაოს საძებნელად, ეს ახლა დიდი უბედურებაა. ასე შეიძლება სულ დაიკარგოს ქართული გენი.

ლევან ძნელაძე

სკანვორდი



№ 23-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — ირმა ნიორაძე; მცირე ზომის ნავი — სანდალი; სილიკატის კლასის მინერალი — აზბესტი; მწერალი სომერსეტ... — მოემი; საიდუმლო გულისნადები — ხვაშიადი; ცეცხლის ასანთები — ასანთი; სააგენტო — იფრინდა; მეტყველების ორგანო — ენა; წუწუნი — ვიშვიში; კავშირი — და; წინაღობის ერთეული — ომი; რუსი ფერმწერი — აივაზოვსკი; ჯიუტი — ურჩი; მოგება — დივიდენდი; ნოტი — დო; სიგრძის საზომი — დუიმი; სოფელი ადიგენის რაიონში — უდე; მ. დავითაშვილის ოპერა — ქაჯანა; კარგი ამინდი — დარი; ქალებმა რომ მამაკაცებს წაართვეს — შარვალი; ა. გოლიკოვის ფსევდონიმი — გაიდარი; სკუადრა აძურას ყოფილი მწვრთნელი — ერერა; გაქრისტიანებული არაბი — აბო; მწერალი — ... დემნა; პატარა ტბა გურიაში — ჯაჯი; ტბა საქართველოში — ტაბაწყური; წუწკი — ხამი; განთიადი — აისი; მუნიციპალიტეტი ქვემო ქართლში —დმანისი; სესხი — ვალი; ლაპარაკი რომ უჭირს — ბლუ; ირლანდიელი მწერალი — ბეინომი; სუბროპიკული მცენარე — ჩაი; თბილისური ჟარგონი — ტო; მდინარე რუსეთში — ოკა; ცის სფეროს წარმოსახვითი ნაწილი — ხადირი

ქალაქი ოზურგეთი

სატახტო ვარდანისძე გურიელებისა

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ გაზეთი „ალიონი“ №1-8,11,15-23

რუბრიკას უძღვება მანანა მემარნიშვილი ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის თანამშრომელი



გურიელის სასახლე

კავკასიის მთავარმართებელი როზენი

ოზურგეთის ბაზარზე მიმოქცევაში მყოფი თურქული ფულადი ერთეული – ყურუში უდრიდა 40 ფარას, 40 კაპიკს, 40 კაპიკად ფასობდა მაშინ:

ერთი ბატკანი, წყვილი რჩეული დოში, იმერული კარგი ჩექმა, კარგი ტილო, სასროლი ბადე.

მომდევნო ფასებიდან აღსანიშნავია მიმოქცევაში არსებული შაური, რომელიც შესატყვისი იყო 4 ფარის, ოთხი კაპიკისა, შაურად ფასობდა ოზურგეთის ბაზარზე:

ოყა (სამი კილოგრამი) ძროხის, ხბოს, თხისა და ღორის ხორცი.

საოცარი სიიაფე იყო „ფარის“ - კაპიკის განსაზღვრების თვალსაზრისითაც. მივყვეთ „ნიხრის“ თანამიმდევრობას:

გოჭი – 8 ფარა – 8 კაპიკი;

წიწილა – 4 ფარა, 4 კაპიკი;

უფრო პატარა – 1 ფარა, 1 კაპიკი;

ორი თავი დამარილებული ყველი – 1 ფარა, 1 კაპიკი;

კარგი ქალამანი – 10 ფარა, 10 კაპიკი;

რჩეული ფარგა (თევზი) – 10 ფარა,

უარესი – 5 ფარა, 5 კაპიკი;

დიდი გობი – 3 ფარა, 3 კაპიკი;

პატარა გობი – 2 ფარა, 2 კაპიკი,

ოთხი თიხის ლამბაქი – 1 ფარა, 1 კაპიკი;

ორი აფხაზური ბაწარი – 2 ფარა, 2 კაპიკი;

გურული ბაწარი – 1 ფარა, 1 კაპიკი;

ბათმანი (ფუთი) ხახვი – 6 ფარა, 6 კაპიკი;

გრძელი ბადე-ზეტაკე- 6 ფარა, 6 კაპიკი;

ქილა ნიგოზი (ორი ფუთი) 6 ფარა, 6 კაპიკი;

9 ცალი მსხალი – 1 ფარა, 1 კაპიკი;

ერთი დოქი არაყი (44 ბოთლი), 6 ფარა, 6 კაპიკი;

კუდა ზურგიელი 1 რუბი-13ფარა, 13 კაპიკი;

ჩარექი ხიზილალა – 13 კაპიკი;

ბადე მოსადები, თითი ფხარი – 1 რუბი, 13ფარა, 13 კაპიკი.

ოზურგეთის მოურავობამ ბაზრიდან მიღებულმა შემოსავალმა განადიდა და დოვლათით აღავსო ნაკაშის ძენი. მალე მათ ალღო აუღეს ოზურგეთის მოურავობის სარფიან საქმეს და შემოქმედის, ჩოჩხათის, ჩიბათისა და ჯურუყვეთის მოურაობასაც გამოჰკრეს ხელი.

1820 წელს რუსთა სარდლობამ „მაიორ გიორგი ნაკაშიძეს სამოურაოდ მისცა ჩოჩხათი, ჩიბათი და ჯურუყვეთი. 1820 წელს საეკლესიო აჯანყების დროს რუსთა წინააღმდეგ, ამ სამოურაოს არსებობა შეწყდა.

1828 წელს ჩიბათისა და ჯურუყვეთის სამოურავოები კვლავ გამოჩნდნენ გურიის ეკონომიკური ყოფის ავანსცენაზე. მათი მესვეურები, მათი მოურავები ამჟამადაც ნაკაშიძეები აღმოჩნდნენ... მათსავე ხელთ იყო ამავე დროს მეღვინეთუხუცესის სახელო.

გურიის მთავრის მიერ მოურავებზე დაქვემდებარებული ბაზრობები მარტო ოზურგეთში არ იყო წარმოდგენილი. ბაზრობები ოზურგეთის ქვეყნის სოფლებშიაც იმართებოდა. განსაკუთრებით ცნობილი იყო დაბა დვაბზუს ბაზრობა, რომლის შესახებაც კავკასიის მთავარმართებელი ბარონი გრიგოლ როზენი წერდა:

„გურიაში დაბა დვაბზუს არის ბაზარი და წარმოებს ყოველკვირეული ვაჭრობა... რომელზედაც მოდიან იმერლები, გურულები, თურქები, ქობულეთლები, და მოსაზღვრე სხვა ადგილებიდან.

დაბა ნაგომარსა და ლანჩხუთში, – მისივე ცნობით, – იმართება ყოველწლიური ბაზრობა, რომელიც 8 დღე გრძელდება: პირველში 17 ივლისიდან. მეორეში – 8 სექტემბრიდან. არის აგრეთვე ბაზრობა სოფელ ვანისქედში – აღდგომის პირველ კვირას და ჯუმათის მონასტერში 13 სექტემბერს“.

როზენის ცნობით როგორც იმერეთის, ასევე ზემოხსენებულ ბაზრობებზე ძირითადი მოვაჭრენი – საქონლის შემომტანი სომხები და ებრაელები იყვენ რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობაზე ჰყიდნენ: შაქარს, ჩაის, ყავას, რომსა და სხვა სასმელებს, სხვადასხვაგვარ აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილებს, მაუდს, ადგილობრივ და მთიდან მოტანილ ნაწარმს და სხვა საქონელს საკმაო რაოდენობით, ქვეყნის მცირედი მოთხოვნილების დასაკლაყოფილებლად.... მეზობელ ბაზრობებზე ურთიერთ მიმოსვლა იყო... გურიიდან ხშირად დადიოდნენ იმერეთ-სამეგრელოს ბაზრობებზე – ხონის, სენაკის ბაზრობებზე, სადაც იყიდებოდა მსხვილფეხა საქონელი, „მთის მაუდი“, აბრეშუმის, ბამბისა და მატყლის ადგილობრივი ნაწარმი.

განმსაზღვრელი გავლენა როგორც ოზურგეთის ასევე მისი ქვეყნის სოფლებზე სავაჭრო საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხებზე – აქ გამართულ ბაზრობებზე ოზურგეთის მოურავს – ნაკაშიძეთა გვარიდან ჰქონდა მინდობილი, თუმცა უკვე ახლა ქაიხოსრო გურიელის მიერ დაწესებული გასასყიდი საქონლის ნიხრი, მხარეში რუსული მმართველობის შემოღების გამო აღარ იყო ძალაში.

1837 წლის ცნობით ოზურგეთის შესახებ იმხანად აღნიშნავდნენ:

„სოფელი იქ არაა. მოედნის ირგვლივ, მთავრის ქვის სახლის ახლოს (იგულისხმება მამია V გურიელის სასახლე, ე.გ.) განლაგებულია რამდენიმე ქვის პატარა სახლი და ერთი დიდი შენობა, რომელიც წარმოადგენს ყაზარმას.

აქვეა მმართველოა... მცირე და ძველი ხის ეკლესია. ცოტა ახლოს ათამდე დუქანია, თუ ფარდული“.

„ოზურგეთის ქვეყნის“, როგორც ქალაქის ასევე სოფლის ცხოვრებაში მშნიშვნელოვან როლს ასრულებდა მამასახლისი. ქართულ სამოხელო წყაროებში მამასახლისის სახელი უძველესია. ლეონტი მროველთან მრავალგზის მოხსენიებული „მცხეთის მამასახლისი“ ქართლის იბერიის სახელმწიფოს ფუძემდებელი მეფე ფარნავაზ იყო ძმისწული სამარა მამასახლისისა.

მამასახლისები ჰყავდათ არა ცალკეულ სოფლებს, არამედ ქალაქებსაც, ამ „მამასახლისიან ქალაქებში“ ოზურგეთიც ირიცხებოდა. მოურავის შემდგომ ქალაქის ცხოვრებაში მას უპირველესი ადგილი ეჭირა.

მამასახლისის შემდგომ ფეოდალური ხანის საქართველოში მოურავის შემდგომ მოურავის თანაშემწე, ნაცვალი, ანუ შემდგომი. დროის – რუსული მმართველობის პოლიცმეისტერი მოდიოდა. ისე როგორც მოურავს და მამასახლისს, ასევე ოზურგეთის ნაცვალსაც გურიელი ნიშნავდა.

„ნაცვალი ამოწმებდა ქალაქში ნასყიდობის წყალობას, თუ თავდასხსნილობის წიგნებსაც, თვალყურს ადევნებდა ქალაქში, უმთავრესად კი ქალაქის ბაზრებში წესრიგის დაცვას. სათანადო წესდებაში ნათქვამია: „ქალაქის ნაცვალის ერთ-ერთ უმთავრეს მოვალეობას შეადგენს წესრიგის დაცვა... მოურავის ნაცვალი ყოველთვის უნდა სინჯავდეს ლიტრას, ადლს, საწყაოსა და ყოველივე საწონს, ყოველივე გასაზომს, თუნგს... რომელსაც ნაკლებობა და სიმრუდე შეაჩნდეს, ჯარიმა უნდა დაერთვას. ისე როგორც მოურავსა და მამასახლისს ისევე ნაცვალის სარგო თუ გასამრჯელო ნატურით განისაზღვრებოდა ვიდრე მხარეში რუსული მმართველობის დაწესებამდე.

ენვერ გოგუაძე

სულთათანა

პირველი დაბადების დღე უშენოდ ბიძი



პირველი ზაფხული უშენოდ ბიძი. ნეტა იცოდე.როგორ გვიჭირს ყველას უშენობა ბიძი. დედაშენს 90 წლის ასაკში გამოაცდევინე შვილის სიკვდილის გრძნობა.90 წლის დედამ 57 წლის შვილი ვაჟკაცი კაცი საფლავთან მიაცილა. შენ მეუღლეს 50 წლის ასაკში გამოაცდევინე, თუ რას ნიშნავს იყო ქვრივი.შენი დედმამიშვილები დატოვე ვაჟკაცი ძმის გარეშე.შენი ტყუპისცალი და დღეს დაბადების დღეს მარტო ხვდება და ვერ ჩაგეხუტება და ვერ გეტყვის: ბიძი ძმაო გილოცავ. ჩვენ ყველას მოგვიწევს სამწუხაროდ შენს საფლავზე მოსვლა.

რა დიდი ტკივილია დაკარგო ადამიანი და იმ ადამიანის გარდაცვალებას შეეგუო. რომელიც 12 წელი გზრდიდა. რომელსაც ყოველი შენი წინ გადადგმული ნაბიჯი უხაროდა.სწორედ იმ ადამიანმა დაგვტოვა და ცათა სასუფეველში გადაინაცვლა.

ბიძი ჩვენო მონატრებულო უფალმა გაანათოს შენი ლამაზი სული. ნათელი და სანთელი ...

შენი დისშვილისშვილი

მ ა რ ი ა მ ი

ნანა ჩხაიძე

სამი წელი გავიდა უშენოდ ნანა, სამი ტკივილით და დარდით სავსე წელი. დრომ ვერ განკურნა უშენობით გამოწვეული ტკივილი.

მზრუნველი ბებო ენატრება გიორგის და ანრის, ენეტრები დედის მზრუნველობის გარეშე დარჩენილ შენს ერთგულ შვილს, გოჩას და შენს თვალცრემლშეუმშრალ მეუღლეს ანზორის.

ღმერთმა ნათელში გვიმყოფოს შენი სული ნანა.

ანზორ და გოჩა
ღოლიძეები

ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკის ცენტრ „ანასეულის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ყოფილი თანამშრომლის **ნანა გრიგოლის ასული სიხარულიძე-ღუმბაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

განცხადებები

იყიდება 9 400 კვ. მ მიწის ნაკვეთი ქობულეთის ტრასაზე, ანასეულის გადასახვევიდან 400 მეტრის დაშორებით.

***

იყიდება 30 კუბური მეტრი დახერხილი კედრის მასალა. ტელ. 599 58 75 32; 599 61 11 60.

მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრების დამზადება ყველაზე იაფად და ხარისხიანად ტელ: 598 00 53 53

მილოცვები

პედიატრიის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიურ დოქტორს ივანე (ვანიკო) ჩხაიძეს ვულოცავთ 60 წლის იუბილეს, ვუსურვებთ დიდ სიხარულს, ბედნიერებას ოჯახთან ერთად!!!

ეთერ ცინცაძე,
დავით ლეჟავა.

დაბადების დღეს ვულოცავ საყვარელ დეიდაშვილს ეთერ ცინცაძეს, ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლესა და ბედნიერებას!!!

დავით ლეჟავა.

ევროპის ჩემპიონატი დიდებს შორის მძლეოსნობაში

ევროპის ჩემპიონატს დიდებს შორის ლიხტენშტეინმა უმასპინძლა, შეჯიბრებაში, 19 ქვეყანასთან ერთად, საქართველოს ნაკრები გუნდი 7 სპორტსმენით იცავდა ჩვენი ქვეყნის ღირსებას, მათ შორის იყო ოზურგეთელი ბირთვის მკვრელი **სოფო შათირიშვილი** (მწვრთნელები – კოტრიკაძე, მანთიძე).

სოფომ წარმატებით იასპარეზა და ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა. საქართველოს ნაკრებმა სულ 6 მედალი მოიპოვა – ორი ოქრო, სამი ვერცხლი და ერთიც ბრინჯაო.

ვულოცავთ საქართველოს ამ დიდ წარმატებას და ოზურგეთს სასიქადულო შვილის ყოლას. ვუსურვებთ სოფოს უფრო მაღალი კვერცხლ-ბეკების დაპყრობას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დღე აღინიშნა

ალიონი. 14 ივნისს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დღე აღინიშნება საქართველოში.

ღონისძიებაში აქტიურად მონაწილეობდნენ საქველმოქმედო ორგანიზაცია „გურიას“ ბენეფიციარები.

5 საათზე ოზურგეთის სახელმწიფო თეატრიდან „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის'' ბაზაზე არსებული ლიდერთა სკოლის მოსწავლეებთან ერთად მოეწყო მსვლელობა, რომელიც დასრულდა ოზურგეთის კულტურისა და დასვენების პარკში.

კულტურისა და დასვენების პარკის ამფითეატრში გაიმართა ღონისძიება ჩვენი საქველმოქმედო ასოციაცია „გურიას“ ბენეფიციარების მონაწილეობით.

შშმ პირთა უფლებების დაცვის დღე ბენეფიციარებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ მიულოცა.

სტიქიის შედეგად დაღუპულთა ხსოვნას მიეძღვნა

ალიონი. 2015 წლის 13 ივნისის ტრაგედიიდან სამი წელი გავიდა. სტიქიის შედეგად დაღუპულთა ხსოვნას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობასა და „ჭადრების პარკში“ სპეციალური ფოტო-გამოფენა მიეძღვნა.

ფოტო-გამოფენა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტისა და ახალგაზრდობის საკითხთა განყოფილების, ასევე მოსწავლე-ახალგაზრდობისა და სარეკრეაციო დაწესებულებათა გაერთიანების ორგანიზებით გაიმართა.

დიდი მატჩი: რონალდო - ესპანეთი 3:3

მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის პირველ ტურში ესპანეთისა და პორტუგალიის ნაკრებების ულამაზესი მატჩი 3:3 დასრულდა.

როგორც იქნა, ტურნირზე დიდი ფეხბურთი ვიხილეთ, დიდი და ძალიან ლამაზი.

შეხვედრა მართლაც საინტერესოდ დაიწყო, უკვე მე-3 წუთზე რონალდომ თავის მიერვე მონადირებული თერთმეტმეტრიანით (თამაშის წესები მისმა თანაგუნდელმა ნაჩომ დაარღვია) გახსნა ანგარიში. ის მეოთხე ფეხბურთელია, რომელმაც 4 მუნდიალზე გაიტანა გოლი. აქამდე ეს მხოლოდ უვე ზეელერმა, პელემ და მიროსლავ კლოზემ შეძლეს. მას აგრეთვე ევროპის 4 პირველობაზე აქვს მეტოქეთა კარი დალაშქრული, რაც დაგვეთანხმებით, უნიკალური მიღწევაა.

ამის შემდეგ ესპანეთმა შეუტია, დავიდ სილვამ კარის აღების ორი კარგი შესაძლებლობა ვერ გამოიყენა, რასაც პორტუგალიელთა სწრაფი კონტრიერიში მოჰყვა და კრიშტიანოს კარგი პასი გუედეშმა ვერ გამოიყენა. საპასუხო შეტევისას კი დიეგო კოშტამ შესანიშნავი გოლი გაიტანა. მერე ისკოს დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა, ინიესტამ ოდნავ ააცილა ბურთი კარს. ბოლოს კი რონალდომ ისარგებლა დე ხეას შეცდომით, 2:1 და პირველი ტაიმი პორტუგალიამ მოიგო.

არადა, ამ შეხვედრის წინ "მანჩესტერის" მწვრთნელი ჟოზე მოურინიო ამტკიცებდა, რომ რონალდო კლუბში და რონალდო ნაკრებში ეს ორი სხვადასხვა ფეხბურთელია.

მეორე ტაიმი ფურია როხას შეტევებით დაიწყო, საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთზე მცველს ბუსკეტსმა დაასწრო, კარის წინ თავით ჩააგდო და დიეგო კოშტამ დასწრებაზე მეორედ დაამწუხრა რუი პატრისიუ. მორიგი იერიშისას კი ნაჩომ შორიდან ყუმბარისებრი დარტყმით წინ გაიყვანა ესპანეთი - მან თავისი შეცდომა გამოასწორა. სხვათა შორის, ეს ეროვნულ გუნდში გატანილი 28 წლის ნაჩოს პირველი გოლია.

ბოლოს ფერნანდო იეროს გუნდმა ბურთიც დაიჭირა, მაგრამ კონტრშეტევაზე პორტუგალიამ საჯარიმო მოიპოვა და კრიშტიანომ ცხრიანში ბრწყინვალე დარტყმით ჰეთ-თრიკი შეასრულა.

აღსანიშნავია, რომ ერთ ფეხბურთელს მსოფლიოს ჩემპიონატზე ესპანეთის ნაკრებისთვის ერთ მატჩში აქამდე 3 გოლი არ გაუტანია. რონალდოს აქამდე ესპანელთა კარში გოლი არასოდეს არ გაუტანია.

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, ღრუბელი +16+24	მზე, ღრუბელი +16+22	მზე, ღრუბელი +17+24	წვიმა +17+26	წვიმა +17+21	ღრუბელი +16+20	მზე, ღრუბელი +17+22
18 ივნისი	19 ივნისი	20 ივნისი	21 ივნისი	22 ივნისი-	23 ივნისი	24 ივნისი
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა